



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

1გ- 48

16 იანვარი 2015 წელი
ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე

მანუჩარ კაპანაძემ

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ია მეფარიშვილის საჩივარი, გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო გერგაულის 2015 წლის 07 იანვრის განჩინებაზე _ მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამომიებო მოქმედების - ამოღების კანონიერების შემოწმების თაობაზე და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

შსს გორის რაიონული სამმართველო აწარმოებს გამომიებას სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXXX საქმეზე, დ. მ.-ს მიერ ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ შეძენა-შენახვის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქმის მასალების მიხედვით:

2015 წლის 6 იანვარს, შსს გორის რაიონული სამმართველოს გამომიებელ ბექა ბეჟანიშვილის მიერ, იმის გამო, რომ დაყოვნება გამოიწვევდა საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების გადამალვა განადგურებას, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ქ. გ.-ში, ს.-ს ქუჩა №XX-ში მდებარე სათამაშო კლუბ „კ“-ში დ. მ.-ს მიმართ ჩატარებული საგამომიებო მოქმედების შედეგად ამოღებული იქნა: ერთჯერადი შპრიცი; თეთრი ფერის პოლიეთილენის ბოთლი; თეთრი ფერის პოლიეთილენის პარკი, მასში მოთავსებული ქვითრით და პლასტმასის ნივთებით; თეთრი ფერის „ნოკიას“ ფირმის ტელეფონი; ლურჯი ფერის დუტის ქურთუკი, მომწვანო ფერის მცენარეული მასა და თეთრი ფერის პლასტმასის ბოთლი, რომელშიც მოთავსებულია გაურკვეველი სითხე.

2015 წლის 6 იანვარს გორის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ია მეფარიშვილმა და ითხოვა მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩატარებული ამოღების კანონიერად ცნობა.

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო გერგაულის 2015 წლის 7 იანვრის განჩინებით, პროკურორს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩატარებული საგამომიებო მოქმედება - ამოღება ცნობილი იქნა უკანონოდ (იხ. განჩინება).



აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა პროკურორმა ია მეფარიშვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება, როგორც უკანონოს და დაუსაბუთებლის, ხოლო მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილება და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობა (იხ. საჩივარი).

სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა შესაძლებლობას, ზეპირი მოსმენის გარეშე, სრულყოფილად იქნეს შეფასებული პროკურორის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა.

სასამართლომ განიხილა რა საჩივარი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ პროკურორ ია მეფარიშვილის საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია ვერ გაიზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაციას იმის თაობაზე, რომ სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-9 ნაწილიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას დასწრებოდა სათამაშო კლუბ „კ.-ს“ წარმომადგენელი და მიიჩნევს, რომ აღნიშნულ გარემოებაზე მითითებით შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლოა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობს ტერმინს - „პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა“ (სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სწორედ ამ პირის (ფიზიკურის და იურიდიულის) უფლებები და ინტერესები უნდა იყოს დაცული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას და მასზე უნდა განხორციელდეს მკაცრი სასამართლო კონტროლი.

მოცემულ შემთხვევაში, საგამოძიებო მოქმედება - ამოღება ჩატარდა ფიზიკური პირის დ. მ.-ს და არა სათამაშო კლუბ „კ.-ს“ მიმართ. შესაბამისად, იურიდიული პირის უფლებების შეზღუდვას და მისი ინტერესების შელახვას ადგილი არ ქონია და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს მისი წარმომადგენლის დასწრების აუცილებლობა საჭირო არ იყო. რაც შეეხება პოლიციის თანამშრომლების სათამაშო კლუბ „კ.-ს“ შენობაში შესვლას და დ. მ.-ს მიმართ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, საქმის მასალების მიხედვით, სამართალდამცავები თავად კლუბის თანამშრომლებმა გამოიძახეს და მოითხოვეს საექვო პირის შემოწმება.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-9 ნაწილიდან გამომდინარე, იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის დასწრება ჩხრეკის ან ამოღების დროს სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როდესაც ამოსაღები საგანი ან დოკუმენტაცია განეკუთვნება უშუალოდ იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესის სფეროს, ან/და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებით შესაძლებელია შეიზღუდოს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა იურიდიული პირის მიმართ და შესაბამისად, არც მისი კანონიერი უფლებები შელახულა, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსამართლის განჩინების გარეშე დ. მ.-ს მიმართ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის არსებობდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები და გადაუდებელი აუცილებლობა. ამოღება და მისი საპროცესო დამაგრება განხორციელებულია კანმდებლობით დადგენილი პროცედურებისა და მოთხოვნების დაცვით, რაიმე სახის არსებით დარღვევას, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას, ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება - ამოღება ცნობილი უნდა იქნეს კანონიერად.

სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 111-112-ე, 119-121-ე, 206-207-ე მუხლებით,



და ა დ გ ი ნ ა :

1. გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ია მეფარიშვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო გერგაულის 2015 წლის 7 იანვრის განჩინება;
3. კანონიერად იქნეს ცნობილი 2015 წლის 6 იანვარს, შსს გორის რაიონული სამმართველოს გამომძიებელ ბექა ბეჟანიშვილის მიერ, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ქ. გ.-ში, ს.-ს ქუჩა №XX-ში მდებარე სათამაშო კლუბი „კ.“-ში, დ. მ.-ს მიმართ ჩატარებული საგამომძიებო მოქმედება - ამოღება.
4. განჩინება (ასლები) გაეგზავნოთ და გადაეცეთ სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე:

მანუჩარ კაპანაძე